Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა N 3 ივლისი-სექტემბერი, 2020

მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“

მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ GITA-ს პროგრამის გამარჯვებულია

მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს” 100 000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების პროგრამის გამარჯვებულია. მობილური აპლიკაცია 2017 წელს ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტ USAID-ის ზრდას დახმარებით შეიქმნა. აპლიკაცია არის მარტივი და მოქნილი ელექტრონული სისტემა, რაც ფერმერს მის მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის, ახალ ბაზარზე გასვლისა და დაკავშირების საშუალებას აძლევს სადისტრიბუციო კომპანია GFDC აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან.

ეს მარტივია! ჩამოტვირთეთ აპლიკაცია

https://play.google.com/store/apps/details?id=ge.org.gfa.gfa

https://apps.apple.com/app/id1274568219

და განათავსეთ თქვენი პროდუქტი ერთ ელექტრონულ სივრცეში. აპლიკაციაში ხელმისაწვდომია: ყოველდღიური აგროდაიჯესტი, სოფლის მეურნეობის სფეროში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა, ფერმერზე მორგებული ლოკალური ამინდის პროგნოზი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოტანილი იჯარით გასაცემი მიწის აუქციონები, 60-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ციკლი და ა.შ.

მობილური აპლიკაცია და ბლოგ „Agronavti”-ს საკომუნიკაციო კამპანია

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში მობილური აპლიკაცია და ბლოგ „Agronavti”-ს საკომუნიკაციო კამპანია დაიწყო. კამპანიის ფარგლებში აგრონავტის ბრენდის ელჩები რეგიონის მასშტაბით აპლიკაცია აგრონავტის პოპულარიზაციასა და რეგისტრაციას ახორციელებენ.

აღნიშნული კამპანიის მიზანია, გაზარდოს იმ მომხმარებელთა/დარეგისტრირებულთა რიცხვი პლატფორმაზე, რომლებიც ხორცისა და რძის ინდუსტრიების ღირებულებათა ჯაჭვში არიან ჩართული. ამასთან, გაიზარდოს პლატფორმაზე არსებულ შინაარსზე, კერძოდ, ტრენინგებზე და სასწავლო მასალებზე, დარეგისტრირებულ მომხმარებელთა წვდომა/ნახვები. Agronavti-ს საშუალებით სამიზნე აუდიტორიამ უნდა აიმაღლოს ცოდნა, მაგალითად ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჰიგიენა, სურსათის უვნებლობა, ცხოველთა კვება, ფერმის მენეჯმენტი და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე ცოდნის ამაღლებით, ისინი შეძლებენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნას.

Agronavti-ს საკომუნიკაციო კამპანიის ფარგლებში, მომზადდა აპლიკაციის პრომო და სასწავლო ვიდეო. ვიდეოში მონაწილეობს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე, ნინო ზამბახიძე, რომელიც საუბრობს როგორც Agronavti-სა და მის შესაძლებლობებზე, ისე აპლიკაციის გადმოწერის და რეგისტრაციის პროცედურების შესახებ. ვიდეო ხელმისაწვდომია GFA, SQIL და Agronavti facebook გვერდებზე. ვიდეოს ნახვა ასევე შესაძლებელია GFA-ს YouTube გვერდზე.

ვიდეო ხელმისაწვდომია GFA facebook გვერდზე: https://bit.ly/377svpU
ვიდეო ხელმისაწვდომია SQIL facebook გვერდზე: https://bit.ly/3nQk4VF
ვიდეო ხელმისაწვდომია Agronavti facebook გვერდზე: https://bit.ly/34WzoTd

პანდემიის შემდგომი გამოწვევები სოფლის მეურნეობაში

Covid-19 პანდემიის შემდგომ ეკონომიკის გაჯანსაღება

10 ივლისს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ თორიამ, Center for International Private Enterprise (CIPE)-ის მიერ ორგანიზებული ონლაინ კონფერენციის პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა. პანელის თემა ასოციაციების როლი Covid-19 პანდემიის შემდგომ ეკონომიკის გაჯანსაღებაში იყო.

კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯანდაცვის სექტორის შემდეგ, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ფერმერთა წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები დროულად რომ შეფასებულიყო, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა. სწორედ ამ კვლევის შედეგებსა და ასოციაციის მიერ შემდგომ განხორციელებულ ქმედებებზე ისაუბრა ქ-მა თამარმა. „ანალიზში ნაჩვენებია როგორც საქართველოს სასურსათო სექტორის მოწყვლადობა, ასევე ფერმერული მეურნეობების ძირითადი პრობლემები, რომლებიც კორონავირუსის ფონზე კიდევ უფრო გართულდა. ასევე, კვლევა იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ როგორც კრიზისის პერიოდში, ასევე პოსტ-კრიზისულ პერიოდში, რათა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა განვითარდეს და გაუმჯობესდეს სასურსათო უსაფრთხოება. შედეგად საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით GFA-ს რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული," - აღნიშნა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ თორიამ.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

პროფესიული განათლება აგროსექტორში

პროფესიული განათლების მნიშვნელობა და დასაქმების ხელშეწყობა

28 ივლისს, სასტუმრო „ სტამბა“-ს ვერანდაზე საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და დარგობრივი უნარების ორგანიზაციის “აგრო დუო” ინიციატივით, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა დონორ ორგანიზაციებთან ერთად აგრარულ სექტორში არსებულ გამოწვევებზე, პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე და დასაქმების ხელშეწყობის შესაძლებლობებზე იმსჯელეს.
შეხვედრა პანელური დისკუსიის ფორმატში გაიმართა. მხარეებმა განიხილეს როგორი უნდა იყოს აგრარული პროფესიული განათლების პოლიტიკა, როგორ უნდა დარეგულირდეს საგანმანათლებლო სისტემასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობა, ვინ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება და გააძლიეროს ადამიანური რესურსი სოფლის მეურნეობაში.
დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუო“ 2019 წლიდან უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობას. ორგანიზაციის მიზანია ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშეწყობით სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსის გაძლიერება.
პროექტი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MESCS) მხარდაჭერით, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის აგრო დუოს მონაწილეობითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით.

აგრარული უნარების გაძლიერების ორგანიზაცია

აგრარული პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ქვეყნის ხუთ რეგიონში მდებარე ექვს კოლეჯში ღია კარის დღე ჩაატარეს, სადაც დაინტერესებულ პირებს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ უპირატესობები გააცნეს. პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ სოფლის მეურნეობის მიმართულებით 6 შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 10 აგვისტოს ჩათვლით დარეგისტრირებულიყვნენ. პროგრამები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: მეფუტკრეობა, მეხილეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, მებაღეობას, რძის პროდუქტების წარმოება და მებოსტნეობა.
გასულ წლებთან შედარებით პროგრამაზე, სადაც გათვალისწინებულია სახელმწიფო დაფინანსება, ანაზღაურება, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი, მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება და დასაქმების ან საკუთარი ბიზნესის წამოწყების რეალური შანსი, სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა, რაც „აგროდუოს“ ჩართულობითაც იყო განპირობებული.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება
WORK-BASED LEARNING

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

თანამშრომლობის შესაძლებლობები პროფესიულ კოლეჯებთან

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

LAND O'LAKES VENTURE 37

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიცირებით, ფერმის მართვის სასწავლო მასალების შემუშავების ფარგლებში, ორგანიზაცია „მომავლის ფერმერი“ პროფესიულ კოლეჯებსა და ფერმებს შეხვდა.
პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების დროს, ფერმის მართვის სასწავლო მასალების გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა მოხდა. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ, ახალციხის კოლეჯმა „ოპიზარმა“ გამოთქვა სურვილი ფერმის მართვის მოკლევადიანი პროფესიული სასწავლო კურსის დანერგვაზე. შესაბამისად, მომდევნო კვარტალში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით, განათლების ექსპერტი შეიმუშავებს შესაბამის დოკუმენტებს, რომ კოლეჯ „ოპიზარმა“ განაცხადი შეიტანოს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაზე.

ფერმერთა გამოფენა

17 სექტემბერს, სასტუმრო „სტამბა“-ში ფერმერთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენა, საქართველოში მიმდინარე გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) დახურული ღონისძიების ნაწილი იყო, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის სფეროს ლიდერები მონაწილეობდნენ. გამოფენაში, რომელიც საქართველოს ბანკის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გაიმართა, პანდემიის დროს დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მხოლოდ პროექტ USAID-ის ზრდას და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული რამდენიმე ბენეფიციარი იღებდა მონაწილეობას.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაციები

USAID
ამერიკის ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

Chemonics
Development works here.

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ფერმერთა სათათბიროს დისტანციური შეხვედრა

22 სექტემბერს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, ფერმერთა სათათბიროს დისტანციური შეხვედრა გაიმართა. ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა სათათბიროს წევრებს, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროექტისა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ცვლილება, იჯარით აღებული სახნავი მიწების პრივატიზებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით, ფერმერების შენიშვნები საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენის ოფისს მიეწოდა, რომელიც კომენტარებს ერთიანი სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული კანონმდებლობის ცვლილების პაკეტის განხილვა პარლამენტში უახლოეს პერიოდში დაიწყება.



Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაციები

ფერმერთა სათათბირო

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალი მეწარმის პროდუქტების ბრენდინგზე მუშაობა დასრულდა

პროექტმა “ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში”, რომელსაც ფერმერთა ასოციაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს, 29 ქალი მეწარმის ბრენდინგზე მუშაობა დაასრულა.

ქალ მეწარმეთა ბრენდიგზე კომპანია “ანაგრამამ” იმუშავა და ბიზნესებს უკვე გადაეცათ ინდივიდუალური პრეზენტაციები ბიზნესის ლოგოთი, მესიჯ ბოქსითა და მათი გამოყენების რეკომენდაციებით.

პროექტის ფარგლებში, აგვისტოს თვეში ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის წინანდალში, სადაც ხელნაკეთი ნივთებისა და წარმოების მიმართულების ბიზნესებთან იმუშავეს მაღალკვალიფიციურმა ტრენერებმა და ვორქშოფების დახმარებით ქალებთან ერთად დასახეს კრიზისის მართვის გზები.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

გეოგაპის სტანდარტი

გეოგაპის სერტიფიცირების სქემის შესახებ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სტანდარტის პოპულარიზაციის მიზნით, შემუშავდა გეოგაპის საკომუნიკაციო სტრატეგია. აღნიშნულის ფარგლებში, გეოგაპის გუნდის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ახალციხეში, სადაც დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა შეხვედრა კარტოფილის მწარმოებლებთან.

გეოგაპის გუნდი აქტიურად აგრძელებს კონსულტაციებსა და საველე ლაბორატორიულ ანალიზების აღებას, გეოგაპის სტანდარტის დანერგვის მიზნით. საანგარიშო პერიოდში, სართიჭალაში, გუნდის წევრებმა ადგილზე მობილური ლაბორატორიის საშუალებით, პორტატული ხელსაწყოებით მოახდინეს ნიადაგის ნიმუშის აღება და მასზე ანალიზის ჩატარება. საველე ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა გეოგაპის სტანდარტის დანერგვის მსურველ ფერმერებთან.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

გეოგაპ
ადგილობრივი სტანდარტი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

Chemonics
Development works here.

აგროტურიზმი

აგროტურიზმის განვითარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ახალი პროექტი "აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" დაიწყო, რომელიც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხორციელდება. პროექტის მიზანს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აგროტურიზმის განვითარება წარმოადგენს.
საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კონკურსის საფუძველზე, თითოეულ ქვეყანაში აგროტურიზმის მიმართულებით 25-25 ბენეფიციარი შეარჩია.
29 სექტემბერს კი- საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ, რატი კოჭლამაზაშვილმა, მონაწილეობა მიიღო "კავკასიის გარემოსდაცვითი" არასამთავრობო (CENN) ორგანიზაციების ქსელის მიერ გამართულ ღონისძიებაში, სადაც პანელურ დისკუსიაში პროექტის "აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" მიმდინარე და და აგროტურიზმის განვითარებაში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის როლის შესახებ ისაუბრა.
პროექტი USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს, ეკონომიკური განვითარების, მმართველობისა და საწარმოთა ზრდის (EDGE) პროექტის მიერ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში

ქართული მაწვნის დედოს სპეციფიკაციების დადგენა

17 ივლისს კაჭრეთში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, პროექტის "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" (SQIL) ფარგლებში, ქართული მაწვნის დედოს სპეციფიკაციების დადგენასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა.

დღესდღეობით, საქართველოში ინდუსტრიულად წარმოებული მაწვნის დიდ წილში უცხოეთიდან შემოტანილი დედოებია გამოყენებული, მაშინ როდესაც 03/04/15 წლის N.152 დადგენილებით დამტკიცებული რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში ნათქვამია, რომ მაწონი დამზადებული უნდა იყოს საქართველოში წარმოებული რძემჟავა ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დედოთი.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" (SQIL) პროექტის ფარგლებში, მხარს უჭერს ასოციაცია „საქრძის" ინიციატივას, რომ არსებული შტამების საფუძველზე მზა პროდუქტის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების მიხედვით, დადგინდეს ქართული მაწვნის დედოს სპეციფიკაციები დარგის წარმომადგენლების ჩართულობით.

რძის პროდუქტების დეგუსტაცია

13 აგვისტოს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა რძის პროდუქტების დეგუსტაცია „აჭარა ჯგუფის" შეფების მიერ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო რძის პროდუქტების მწარმოებელი 11 კომპანია. დეგუსტაციის თანაორგანიზატორი იყო საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში ეხმარება. „აჭარა ჯგუფის" შეფების მოწონება დაიმსახურა ყველის სხვადასხვა სახეობებმა, რომელსაც კომპანიები: „ცივის ყველი", „აგროჰაბი", „წიფორა სამცხე" აწარმოებენ.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

LAND O'LAKES VENTURE 37

პროექტი “ქართული ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილობრივად მიწოდების გაუმჯობესება” დაიწყო

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ თანამშრომლობით, პროექტი “ქართული ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილობრივად მიწოდების გაუმჯობესებისა” პროექტი დაიწყო, რომელიც EBRD-ისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარებასა და ტრადიციული, ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებასთან და ტურიზმთან არსებული კავშირების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და დივერსიფიცირებული ახალი კულტურების პოპულარიზაცია
საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ , სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და დივერსიფიცირებული ახალი კულტურების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, ფერმერების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით პროექტი „მცენარეები განვითარების მხარდაჭერისათვის“ (HEGO) განხორციელება დაიწყო.
პროექტი, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და ოთხ ქვეყანას აერთიანებს (საბერძნეთი, მოლდოვა, საქართველო და სომხეთი), ასევე ხელს შეუწყობს სამკურნალო მცენარეების მიმართულებით საერთაშორისო სავაჭრო კავშირების დამყარებას.

სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და დივერსიფიცირებული ახალი კულტურების პოპულარიზაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ , სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა და დივერსიფიცირებული ახალი კულტურების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, ფერმერების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით პროექტი „მცენარეები განვითარების მხარდაჭერისათვის“ (HEGO) განხორციელება დაიწყო.
პროექტი, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და ოთხ ქვეყანას აერთიანებს (საბერძნეთი, მოლდოვა, საქართველო და სომხეთი), ასევე ხელს შეუწყობს სამკურნალო მცენარეების მიმართულებით საერთაშორისო სავაჭრო კავშირების დამყარებას.

ეს წალკაა

პროექტის „ეს წალკაა“ ფარგლებში, სადაც საქართველოს ფერმერთა ასოციაცია “კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან“ ერთად (CENN) ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით მუშაობს, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში ექსპერტების შეხვედრა ფერმერებთან, ამ სწავლებისთვის საჭირო არაფორმალური პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია. ოქტომბრის თვეში ჩატარდება პროფესიული ტრენინგები (მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების სტანდარტები და სხვა).

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 179.5 მილიონ ევროს. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნას არამარტო აღნიშნულ სექტორში. მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ENPARD-ის ვებ–გვერდს: www.enpard.ge.

ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივა

პროექტის „ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი ინიციატივა“ ფარგლებში 72 გამარჯვებული ბენეფიციარი გამოვლინდა, რომელთა გრანტის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს. ოცდაათამდე ბენეფიციარმა უკვე მიიღო საჭირო ძირითადი საშუალებები, ხოლო 42 ბენეფიციარს წლის ბოლომდე გადაეცემა გრანტით გათვალისწინებული აქტივები.
საანგარიშო პერიოდში ფერმერთა ასოციაციის, ავსტრიის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებისა და საქართველოში ავსტრიის სრულუფლებიანი ელჩის ვიზიტიც შედგა დაფინანსებულ პროექტზე - რუისპირის ბიოდინამიურ მეურნეობაში. მეურნეობა აგროტურიზმის მიმართულებას 2018 წლიდან ავითარებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ობიექტის განახლებადი ენერგიით - მზის პანელებით აღჭურვა, რაც უზრუნველყოფს მეურნეობის საჭირო ელექტროენერგიის 70%-ს.

DEMETER მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის

DEMETER-ის პროექტის ფაგლებში შექმნილი პლატფორმა ამოქმედდა, რომელიც საპილოტე მეურნეობების მფლობელ ფერმერებს საშუალებას მისცემს მიმდინარე რეჟიმში აკონტროლონ აგრარული პროცესი, მიიღონ საჭირო რჩევები და კონსულტაციები, მეურნეობის ეფექტური მართვისა და რისკების თავიდან აცილების მიზნით. უკვე აღიჭურვა ორი საპილოტე მეურნეობა სხვადასხვა ციფრული დანადგარებით. დამატებით შეირჩა მესამე საპილოტე ველი, რომლის აღჭურვაც წლის ბოლომდე დასრულდება.
DEMETER არის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული 2-წლიანი პროექტი, რომელიც ხორციელდება პროგრამის Horizon 2020 ფარგლებში. მასში ჩართულია 60 პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ 18 ქვეყანას (მათ შორის 15 ევროკავშირის წევრი). საქართველოში პროექტის პარტნიორია საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.
პროექტი ქართველ ფერმერებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია კარგი სასოფლო – სამეურნეო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რაც ხელს უწყობს ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შემოსავლების ზრდას.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

CENN
Caucasus Environmental NGO Network

ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD